

საქართველოს რეგიონებში სიმინდის ჰიბრიდების გამოცდის შედეგები

ოთარ ლიპარტელიანი - პროფესორი, ს/მ მეცნიერებათა აკადემიის წ/კორესპონდენტი,
ფილარეტ ბეგოძე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
ლიანა ქირიკაშვილი - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი.

საკვანძო სიტყვები: მარტივი ხაზთაშორისი, სამხაზოვანი, ჯიშხაზური ჰიბრიდები.

რეზიუმე

სტატიაში მოტანილია ბოლო 6 წლის განმავლობაში გურჯაანში, თელავში, საგარეჯოში, მარნეულში, გორში და ადიგენში გამოყვანილი სიმინდის ჰიბრიდების გამოცდის შედეგები.

სიმინდი საქართველოში შემოტანილია ესპანეთიდან, მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში, 360 წლის წინათ, კაჟა ფორმები, ხოლო 250 წლის წინათ კბილა ფორმები. სიმინდის კაჟა და კბილა ფორმების ბუნებრივი ჰიბრიდიზაციით ქართველ მიწათმოქმედთა და სელექციონერთა მიერ გამოყვანილია ისეთი ფორმები, რომლის მსგავსი დღეს სიმინდის წარმოშობის ქვეყანაშიც არ არის. ამიტომ, საქართველო შეიძლება ჩაითვალოს სიმინდის წარმოშობის მეორად კერად.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრაქტიკით დამტკიცებულია, რომ სიმინდის მოსავლიანობისა და მისი ხარისხის ამაღლების ძირითადი ფაქტორებია მაღალმოსავლიანი ჰიბრიდი და ხარისხიანი თესლი. ამ ორი ფაქტორის შეთანაწყობით ამერიკამ და ევროპის მოწინავე ქვეყნებმა სიმინდის მოსავლიანობა 80%-ით გააძლიერეს. 1955-1969 წლებში მცხეთის სასელექციო სადგური შედიოდა სიმინდის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შემადგენლობაში და ამ ხნის განმავლობაში ადგილობრივი და უცხოური ხაზებისა და ჯიშების საფუძველზე გამოყვანილი და დანერგილია: საქართველოში - ივერია 503; საქართველოში, უკრაინაში და ჩრდილო კავკასიაში - ლუჩი 410; საქართველოში და უკრაინაში დნეპრული 472. ავტორები: აკადემიკოსი ბ.სოკოლოვი, უფროსი მეცნიერ მუშაკი ბ. ძიუბეცკი და მცხეთის სასელექციო სადგურის თანამშრომლები ო.ლიპარტელიანი და ზ.ჯინჯიხაძე.

ყოფილ მცხეთის სასელექციო სადგურში სულ მიღებული და შესწავლილია 3 200-ზე მეტი ჰიბრიდი. აქედან ჯიშთა გამოცდის და დანერგვის სამსახურს გადაეცა 62 ჰიბრიდი, რომელთაგან როგორც ჩვენთან ასევე უცხოეთში, წარმოებაში დანერგილია 14 ჰიბრიდი და 2 ჯიში. 1984 წელს ჰიბრიდმა ენგურმა დაამყარა საბჭოთა კავშირის რეკორდი, უზბეკეთში მიიღეს მარცვლის მოსავალი 21.4 ტონა ჰექტარზე. როგორც პროდუქტიულობით, ასევე სხვა საინტერესო მაჩვენებლებით გამოირჩევიან ჰიბრიდები: ქართული 9-პირველი ქართული მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდი, ქართული 52 - პირველი სასურსათო უნივერსალური მიმართულების.

2006 წელს, სამწუხაროდ, მცხეთის ისტორიული სასელექციო სადგური გაუქმდა. აქ ყველა მიმართულებით შეწყვეტილი იქნა კვლევითი სამუშაოები. სიმინდზე სელექციური სამუშაოები გადავიტანეთ საკარმიდამო ნაკვეთებზე. შევინარჩუნეთ ძვირფასი საწყისი მასალა, როგორც უცხოური ასევე ადგილობრივი. საბედნიეროდ, ბატონი ბიძინა ივანიშვილის დახმარებით, 2014 წელს მცხეთის სასელექციო სადგურის ბაზაზე დაარსდა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წილკნის ბაზა. აქ შეიქმნა ყველა პირობა თანამედროვე დონეზე მინდვრის კულტურების და მათ შორის სიმინდის სელექციისათვის. ამ პირობებში დღემდე გამოყვანილი და დაპატენტებულია 5 მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდი და 2 ჯიში. გარდა ამისა, გვაქვს კიდევ რამოდენიმე სახის ხაზთაშორისი ჰიბრიდი, რომელთა სამეურნეო მაჩვენებლები მოტანილია ქვემოთ, რეგიონების მიხედვით.

სიმინდის უკეთესი ხაზთაშორისი ჰიბრიდების მარცვლის მოსავალი, 2015 წ.
ცხრილი 1

N	ჰიბრიდი	თელავი, გულგულა		საგარეჯო, დუზაგრამა	
		ტ/ჰა	გადახრა	ტ/ჰა	გადახრა
1	წილკანი 1	5.2	± 00	4.0	± 0.0
2	წილკანი 2	5.4	+0.2	4.1	+0.1
3	ენგური -სტანდარტი	5.2	± 00	4.0	± 00
4	კახურა	6.0	+0.8	4.3	+0.3

ყველაზე კარგი შედეგი მოგვცა ჰიბრიდმა კახურამ, რომელმაც სტანდარტ ენგურს აჯობა ორივე პუნქტზე. აღსანიშნავია, რომ ენგური საფურაჟე მიმართულებისაა, ხოლო კახურა უნივერსალური თვისებების, როგორც საფურაჟე ასევე სასურსათო.

სიმინდის ჰიბრიდების მარცვლის მოსავალი გორის
მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისში, 2016 წ.

ცხრილი 2

N	ჰიბრიდი, ჯიში	მარცვლის მოსავალი ტ/ჰა	გადახრა სტანდარტიდან ტ/ჰა
1	წილკანი 2	4.5	+ 0.5
2	ქართული კრუგი სტანდარტი	4.0	± 00
3	სახამებლიანი შავი	4.3	+0.3
4	ბეჟა	4.4	+0.4
5	წილკანი 1	4.5	+ 0.5
6	შაქრიანი სიმინდი	1.0	- 3.0

სტანდარტს - ქართულ კრუგს აჯობა ყველა ჰიბრიდმა 3–5 ცენტნერით ჰექტარზე, ჩამორჩა მხოლოდ შაქრიანი სიმინდი.

2017 წელს მარნეულში იცდებოდა 10 ჰიბრიდი. აქ ყველაზე კარგი შედეგი მოგვცა ორმა ჰიბრიდმა, რომლებმაც სტანდარტს - წილკან 1-ს აჯობეს 0.2 – 2.0 ტონით, ჰექტარზე, მარცვალში. ეს ჰიბრიდებია პ 22 X მო 17 და იმ 18 X ამერიკული ნახევრადკბილა ყვითელი. გორში იცდებოდა 13 ჰიბრიდი, ყველაზე კარგი შედეგი მოგვცა ორმა ნომერმა: ტურია X ბი 73 და დმს 4444 X ბი 73, რომლებმაც სტანდარტს - ქართულ კრუგს აჯობეს შესაბამისად 1.4 – 0.8 ტონით ჰექტარზე მარცვალში. გურჯაანში იცდებოდა 10 ჰიბრიდი. სტანდარტი იყო წილკანი 2, რომელსაც აჯობა 2 – მა ჰიბრიდმა: იმ 18 X კოლექცია 13 და იმ 47 X ბი 73 - 1.4 – 2.8 ტონით ჰექტარზე მარცვალში. ადიგენში იცდებოდა 6 ჰიბრიდი. სტანდარტი იყო წილკანი 2. სტანდარტთან შედარებით უკეთესი აღმოჩნდა 2 ჰიბრიდი - ტურია X ბი 73 და EXW X მო 17, რომლებმაც აჯობეს სტანდარტს 1.4 – 2.0 ტონით ჰექტარზე მარცვალში.

ჰიბრიდების შესწავლა გაგრძელდება მომავალ წელს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რეგიონებში. მათ შორის 2 უკეთესი გადაეცემა საქპატენტს.

ლიტერატურა:

1. ო. ლიპარტელიანი - ჰიბრიდული სიმინდის სელექცია საქართველოში, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1975 წ., გვ. 12–20;
2. პ. ნასყიდაშვილი, მ. ნასყიდაშვილი, მ. სიხარულიძე, შ. სურგულაძე – კულტურულ მცენარეთა სელექცია მეთესლეობა და თესლმცოდნეობა. თბილისი, 2002 წ., გვ. 61–68;
3. პეტრე ნასყიდაშვილი, ოთარ ლიპარტელიანი, გიორგი ჯახუტაშვილი და სხ.- ჰიბრიდული სიმინდი და მისი აგროტექნოლოგია ფერმერულ მეურნეობებში, თბილისი, 2011წ., გვ. 26–45, 95–151;
4. ოთარ ლიპარტელიანი, პეტრე ნასყიდაშვილი, ზურაბ ჯინჯიხაძე, ფილარეტ ბეგოიძე - სიმინდი საქართველოში, თბილისი, 2014 წ., გვ. 81–95.

The trial results of corn hybrids in Georgian regions

Otar Liparteliani – Proffesor,

Filaret Begoidze – Academic Doctor of Agriculture,

Liana Kirikashvili - Academic Doctor of Agriculture.

Key words : Single Cross hybrids, Three-way hybrids and hybrids between a variety and a line.

Abstract

There are trial results of corn hybrids in Gurjaani, Telavi, Sagaredjo, Marneuli, Gori and Adigeni municipalities. The hybrids were accepted for last 6 years.